ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია

CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

საქართველო, ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ N25 ☎ (+995) 595 95 90 72 ელ. ფოსტა: tskaltubo1@gmail.com
Rustaveli STR 25. Tskaltubo, Georgia ☎ (+995) 595 95 90 72 E-mail: tskaltubo1@gmail.com

N 31/180
16/01/2020

180-31-2-202001161804

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ პაატა ახალაძეს

ბატონო პაატა,

გაცნობებთ, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიამ „2014-2020 წლების შავი ზღვის აუზის ქვეყნების“ პროგრამის ფარგლებში პროექტის - „თანამშრომლობა მწვანე გარემოსთვის“ (BSB1138) განხორციელებისათვის, ევროკავშირისაგან უნდა მიიღოს გრანტი **718 244. 92** (შვიდას თვრამეტი ათას ორას ორმოცდაოთხი ევრო და ოთხმოცდა თორმეტი ცენტი) ევროს ოდენობით, რაც შეადგენს პროექტის მთლიანი ბიუჯეტის 92%-ს.

უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის განხორციელებაში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტთან ერთად ჩართული იქნება კიდევ 4 ორგანიზაცია სამხეთიდან, მოლდოვიდან, რუმინეთიდან და საქართველოდან. პროექტის მთლიანი ბიუჯეტია 780 701.00 ევრო, აქედან გრანტია-718 244.92 ევრო.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მთლიანი ბიუჯეტი აღნიშნულ პროექტში შეადგენს 209 725.00 ევროს. აქედან 192 947.00 ევრო არის ევროკავშირის „2014-2020 წლების სავი ზღვის აუზის ქვეყნების“ პროგრამის გრანტი (პროექტით განსაზღვრული წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 92%), ხოლო თანადაფინანსების თანხა შეადგენს 16 778.00 ევროს (პროექტით განსაზღვრული წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 8%).

აღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 ნაწილის შესაბამისად მოგვცეთ თანხმობა, მუნიციპალიტეტის მიერ მითითებულ საკითხთან დაკავშირებით ხელშეკრულების გაფორმებაზე.

გთხოვთ, წერილში აღნიშნული საკითხი განიხილოთ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე.

პატივისცემით,

გრიგოლ იოსელიანი

მუნიციპალიტეტის მერი